# ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის მიმდინარეობის კვლევა

**თეკლე კაპანაძე**

*ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

უმაღლესი განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ ბრეგვაძე, ასოცირებული პროფესორი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2017**

წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ ისეთ მასალას, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თეკლე კაპანაძე

29/01/2017

# სარჩევი


აბსტრაქტი ..... 1

შესავალი ..... 3

საკითხის აქტუალობა ..... 4

საკვლევი კითხვა ..... 7

ლიტერატურის მიმოხილვა ..... 8

კვლევის მეთოდოლოგია ..... 14

კვლევის შედეგები ..... 17

შედეგების განხილვა ..... 34

დასკვნები და რეკომენდაციები ..... 35

რეკომენდაციები შემდგომი კვლევისთვის ..... 37

დანართი ..... 38

გამოყენებული ლიტერატურა ..... 49

# აბსტრაქტი

საუნივერსიტეტო სივრცეში მიღებული თეორიული ცოდნის რეალურ გარემოში გადატანა მნიშვნელოვანი გამოცდილებაა უმაღლესი განათლების კურსდამთავრებულების პროფესიული უნარების გასაუმჯობესებლად და ცოდნის მიზნობრივი გამოყენების დასაწყებად. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების პოგრამაზე პრაქტიკის კომპონენტი 2016 წლიდან ფუნქციონირებს. წინამდებარე კვლევის მიზანი სწორედ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის მიმდინარეობის შეფასება და რეკომენდაციების მომზადებაა.

აღნიშნული კვლევის ფარგლებში ჩატარდა ინტერვიუ ილიას სახელმწფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების პროგრამის პარტნიორი სკოლების დირექტორებთან სასკოლო პრაქტიკის დაგეგმვის, განხორციელებისა და დასრულების პროცესის შეფასების მიზნით; განხორციელდა ელექტრონული ანკეტირება სტუდენტებთან და პრაქტიკის ხელმძღვანელ მასწავლებლებთან იმის დასადგენად, თუ როგორ აფასებენ ისინი სასკოლო პრაქტიკის დაგეგმვისა და მიმდინარეობისა მექანიზმებს და რამდენად აძლევს მათ აღნიშნიშნული მოდელი პრაქტიკულ უნარებს; კვლევის ფარგლებში ასევე ჩატარდა ფოკუს ჯგუფები მასწავლებლის მომზადების პროგრამის მონაწილე ლექტორებთან, პრაქტიკის მიმდინარეობის პროცესის ძირითადი ტენდენციების გამოსავლენად;

განხორციელებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე პრაქტიკული კომპონენტის მიმდინარეობა 2016 წლის გაზაფხულის სემესტრთან შედარებით გაუმჯობესებულია, თუმცა გარკვეული ხარვეზები პროცესის დაგეგმვის, მიმდინარეობისა და დასრულების პერიოდში მაინც იკვეთება.


**საკვანძო სიტყვები: სასკოლო პრაქტიკა, პრაქტიკის კოორდინირება, ინფორმირებულობა**

**Abstract**

Transferring theoretical knowledge into real environment is a significant experience for higher education graduates in order to strengthen professional skills and to use knowledge for purpose. From 2016 the component of practice is working at the teachers preparation program at Ilia State University. The aim of the previous research is to assess and suggest recommendation for practical component of teacher preparation program at Ilia State University.

Within the research, the interview has been held for the principals of the partner schools of teacher preparation program for the purpose of planning, implementation and ending of the school practice.

Online questionnaire was used with students and coordinate teachers in order to diagnose how they do access planning school practice mechanisms and how is above mentioned model useful for gaining practical skills. Throughout the research, focus groups were conducted with lecturers in order to display the main tendencies of the practical component.

The analyzed results of the research shows, that compared with the last semester, the practice component of the teacher education program at Ilia State University is improved, but some gaps in planning, implementation and ending process still reveals.

**Key words: School Practice, Practice coordination, Awareness.**